

პროგრამის სახელწოდება: ბიზნესის ადმინისტრირება /Business Administration

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი /Bachelor of Bussines Administration

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზე ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს.

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

პროგრამის მიზნები:

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოაზრადოს შრომის ბაზრის მოხმოვნების გათვალისწინებით კონკრენტუნარიანი სპეციალისტი, რომელიც ფლობს დარგის ფართო ცოდნას ბიზნესის მირითად ფუნქციონალურ მიმართულებებში. პროგრამის მიზანი შესაბამება სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდის, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის, ინდივიდუალური განვითარებისა და პირადი ინტერესებიდან გამომდინარე თვითონალიზაციის უნარის მქონე პიროვნების ჩამოყალიბებას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

პროგრამაზე განსხვავებული წესით ჩარიცხვა (ერთანი ეროვნული გამოცდების გარეშე/მობილობა) რეგულირდება კანომდებლობით დადგენილი წესით და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

სწავლის შედეგები:

დარგობრივი უნარები:

ბიზნესის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება; ბიზნესის ადმინისტრირების ისეთი მირითადი საკითხების ცოდნა, როგორიცაა:

ბიზნესის სფეროში გამოყენებადი მათემატიკური და ალბათური თეორიების, სტატისტიკური დამუშავებისა და ანალიზის მეთოდების, ასევე კომპიუტერული პროგრამა SPSS-ის გამოყენებით მონაცემთა ბაზების ფორმირება/დამუშავება, აღწერილობითი და დასკვნითი სტატისტიკური ანალიზის პრაქტიკული გამოყენების მნიშვნელობის გაცნობიერება.

აღწერს მენეჯმენტის ძირითად პრინციპებს, გადაწყვეტილების მიღების მეთოდებს, სხვადასხვა დონის მენეჯერების უფლება-მოვალეობებს. განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის კავშირს ორგანიზაციის სტრატეგიასთან, განმარტავს რეკრუტირების, შერჩევის, პერსონალის ტრენინგისა და განვითარების მეთოდებს, აღწერს პერსონალის შეფასების სისტემებს; სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესი და მისი დანერგვის მნიშვნელოვანი კომპონენტების კომპექსური გააზრება;

ფინანსური თეორიისა და აღრიცხვის საკითხების ფართო თეორიული ცოდნა, ფინანსური ურთიერთობების საკვანძო საკითხები. ფინანსური სისტემის განვითარების თანამედროვე ტენდენციები, მასში მიმდინარე პროცესების შეფასება. დარიცხვის მეთოდის საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და შესაბამისად სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვის თავისებურებები და ფინანსური აღრიცხვის მთავარი პრინციპები. კორპორაციის ფინანსების მართვის საბაზო კონცეფციები.

საფინანსო პოლიტიკის ძირითად პრინციპები, კორპორაციული ფინანსების მართვის თეორიები, მოდელებსა და მეთოდები.

მარკეტინგის ძირითადი ცნებები და კატეგორიები, მთავარი პრინციპები, თეორიები, კონცეფციები, სათანადო ტერმინოლოგია, დარგში მუშაობის მეთოდები, მყიდველებთან მომგებიანი ურთიერთობების მართვა, ბრენდინგის სტრატეგია, სოციალური პასუხისმგებლობა და ეთიკა. ლოჯისტიკური სისტემები, როგორც საწარმოთა ეფექტური მართვისა და კომერციული წარმატების მიღწევის ინსტრუმენტი.

მიკრო და მაკროეკონომიკის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა, კანონები და კანონმდებლობის მიღწევები; ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმის აღწერა, ბიზნესის ადმინისტრირების მეთოდოლოგიური, პრაქტიკული ასპექტები და რეალიზაციის მექანიზმები; მაკროეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები და ფაქტორთა ცვლილებების მასტიმულირებელი გარემოებები.

გლობალური ბიზნეს გარემოს ფართო ცოდნა, ბიზნესის პოლიტიკური, საკანომდებლო და ეკონომიკური გარემოს ფართო ცოდნა, გლობალური უცხოური სავალუტო ბაზრების აღწერა, საერთაშორისო ბიზნესის სტრატეგიების კრიტიკულ გააზრება, ქვეყნის შეფასება, შერჩევა, ექსპორტი და იმპორტი, პირდაპირი ინვესტიციები და თანამშრომლობის სტრატეგიები.

ბიზნესის წარმოების სამართლებრივი და ეთიკური გარემოს საბაზისო საკითხები. სამეწარმეო სამართლის პრინციპები, ინსტიტუტები და ნორმები, ასევე სამეწარმეო სამართლის თანამედროვე კონცეფციები და მიდგომები.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს მართვის მეცნიერებისა და მონათესავე დარგების თანამედროვე მიღწევათა, სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის, მოდელებისა და მიდგომების იდენტიფიცირების მათი ადექვატურად შერჩევისა და პრაქტიკაში გამოყენების უნარი, როგორიცაა:

მათემატიკური მეთოდებისა და მოდელების გამოყენება; ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროს ამოცანების თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზი. ალბათობის თეორიის ფორმულებით ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა. ანალიზის სტატისტიკური მეთოდების გამოყენება, ასევე SPSS-ში ბაზების მომზადება და დამუშავება, დასკვნითი სტატისტიკური ანალიზის ჩატარება.

მენეჯმენტში პროცესების იდენტიფიცირება, პრაქტიკული ასპექტების გათვალისწინებით რაციონლური გადაწყვეტილებების მიღება. პერსონალის რეკრუტირება, შერჩევა, გადარჩევა, მოტივაცია, დაგეგმვა. კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, უხსლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად საწარმოს ოპერაციული პრიორიტეტების განსაზღვრა და სტრატეგიული დაგეგმვა, პროექტთან დაკავშირებული რისკების გამოვლენა და მართვა. პროექტის წარმატებისა და მარცხის გამომწვევი მიზეზების შეფასება.

ფინანსური ინსტიტუტების სახეობებისა და კაპიტალის ბაზრების ინსტიტუციური მოწყობის ანალიზი. კორპორაციის ფინანსური ანგარიშების ანალიზი, ანგარიშების შედგენა და ფინანსური გადაწყვეტილების მიღება. ალტერნატიული არჩევანის თვალსაზრისით საინვესტიციო პორტფელის ფორმირების მექანიზმის გამოყენება.

კომპანიის წარმატებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად მარკეტინგის სფეროში რჩევებისა და რეკომენდაციების შემუშავება. ლოჯისტიკურ სისტემები, როგორც საწარმოთა ეფექტური მართვისა და კომერციული წარმატების მიღწევის ინსტრუმენტი.

მიკრო და მაკროეკონომიკური პრინციპების გათვალისწინება ბიზნესის სფეროში საქმიანობისას გლობალური ეკონომიკური პროცესების და საერთაშორისო ბიზნესის დინამიური განვითარების გრძელვადანი განვითარების პრესპექტივების შეფასება, მულტიკულტურული გარემოს თავისებურებების გათვალისწინება.

ბიზნესის სფეროში წამოჭრილი სამართლებრივი საკითხების იდენტიფიცირება და მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიება. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის დაცვას.

ბიზნესის წარმოების სამართლებრივი და ეთიკური გარემოს საბაზისო საკითხები. სამეწარმეო სამართლის პრინციპები, ინსტიტუტები და ნორმები, ასევე სამეწარმეო სამართლის თანამედროვე კონცეფციები და მიღებობები.

ზოგადი კომპეტენციები:

სტუდენტი შეძლებს:

ბიზნესის ადმინისტრირების პრობლემებთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებას, აღწერასა და ანალიზს.

მონაცემების ანალიზისათვის სათანადო მეთოდების გამოყენებას, შედეგების საფუძველზე რაციონალური და არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბებას.

პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების განსაზღვრასა და მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებას

სტუდენტის:

შეუძლია საქმიანი დოკუმენტის შედგენა ბიზნეს ტერმინოლოგიის გამოყენებით, იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება დარგისათვის სპეციფიკურ კონტექსტში;

შეუძლია ელექტრონულ დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან, მონაცემთა ბაზებთან მუშაობა, აქვს ბიზნესში მონაცემთა შესაბამისი ბაზებისა და პროგრამების გამოყენების უნარი.

სტუდენტის შეუძლია:

დავალებების დროში სწორად განაწილება, დაგეგმვა და მართვის უნარი;

საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება;

ლიტერატურასთან დამოუკიდებელი მუშაობა;

შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენა და ცოდნის მუდმივად განახლება.

სტუდენტის შეუძლია:

გლობალურ გარემოში არსებული კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემა და შესაბამისი ღირებულებების გაზიარება;

ბიზნეს საქმიანობაში ეთიკური ნორმების დაცვა;

ღირებულებების პროცესში მონაწილეობა მათ დასამტკიცებლად სწრაფვა.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა:

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, რეფერატი, წერილობითი დავალება და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება

შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა აღმატებოდეს შუალედური შეფასებების 60 %-ს და დასკვნითი გამოცდის 60%-ს. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასაქმების სფეროები:

კურსდამთავრებულს შეეძლება დაიკავოს კერძო და საჯარო სექტორში ქვედა და საშუალო დონის მენეჯერულ პოზიციები მარკეტინგის, მენეჯმენტის და ფინანსების მიმართულებით, ასევე ჩაერთოს სამეწარმეო საქმიანობაში და გაუძლვეს სხვადასხვა სფეროში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნეს.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს სწავლების შემდეგ საფეხურზე სამაგისტრო პროგრამაზე.

პროგრამის სტრუქტურა:

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო სასწავლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს:

45 კრედიტი - საუნივერსიტეტო კურსები, აქედან 40 კრედიტია სავალდებულო და 5 კრედიტია არჩევით 25 კერდიტიდან.

135 კრედიტი - მირითადი სპეციალობის (major) კურსები, რომელიც წარმოდგენილია მირითადი სპეციალობის სავალდებულო და სპეციალობის არჩევითი საგნებით / ცალკეული კურსების სახით;

სტუდენტს ეძლევა საშუალება თავისი სასწავლო პროგრამა მოაწყოს:

180 (საუნივერსიტეტო 45 კრედიტი, მირითადი (major) საგნების 135 კრედიტი მირითადი სპეციალობის სავალდებულო და სპეციალობის არჩევითი საგნებიდან/ცალკეული კურსებიდან) და minor (60 კრედიტის) სახით;

ან

180 (საუნივერსიტეტო 45 კრედიტი, მირითადი (major) საგნების 135 კრედიტი მირითადი სპეციალობის სავალდებულო და სპეციალობის არჩევითი საგნებიდან/ცალკეული კურსებიდან) და 60 კრედიტი სხვადასხვა კომბინაციით :

ა) 20 კრედიტი თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში (თავისუფალი მოდულებისა და კურსების არჩევა სტუდენტს შეუძლია საუნივერსიტეტო თავისუფალი კურსებისა და 40 კრედიტი სპეციალობის არჩევითი მოდულების/კურსების წუსხიდან).

ან

ბ) 180 (საუნივერსიტეტო 45 კრედიტი, მირითადი (major) საგნების 135 კრედიტი მირითადი სპეციალობის სავალდებულო და სპეციალობის არჩევითი საგნებიდან/ცალკეული კურსებიდან) და 60 კრედიტი თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში (სტუდენტს ასევე აქვს შესაძლებლობა დამატებითი სპეციალობის ნაცვლად თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში შეისწავლოს მისთვის საინტერესო კურსები შემოთავაზებული საბაკალავრო კურსებიდან რაიმე გამართიანებელი სქემის გარეშე და შეიძინოს ცოდნა სწორედ იმ საკითხებისა და მიდგომების შესახებ, რომლებიც მის მიზნებსა და ინტერესებს შეესაბამება)